7309/3-9/23 2 02102023

7309/3-9/23
02-10-2023

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხთან დაკავშირებით:

2023 წლის 2 აგვისტოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიერ დაიგზავნა პრევენციული ხასიათის გამაფრთხილებელი SMS შეტყობინება მთიან რეგიონებში უხვ ნალექთან დაკავშირებით,[1] რომელმაც საქართველოს პატარა მდინარეებზე შესაძლებელია წყალმოვარდნები, ხოლო ქვეყნის მთიან ზონებში მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა - გააქტიურება გამოიწვიოს.[2]

- გთხოვთ, გვაცნობოთ რა ტიპის საკომუნიკაციო გზით მიიღო თქვენმა უწყებამ ხსენებული გამაფრთხილებელი შინაარსის მქონე შეტყობინება.
- დეტალურად გვაცნობოთ ყველა ის ნაბიჯი და ღონისძიება, რომელიც განხორციელდა გამაფრთხილებელი შინაარსისას შეტყობინების მიღების შემდგომ თქვენი უწყების მიერ.
- ასვე გვაცნობოთ გამაფრთხილებელი შინაარსის მქონე შეტყობინების მიღების შემდგომ როგორ ხდება თქვენი უწყების მიერ ინფორმაციის დამუშავება.
- გთხოვთ მოგვაწოდოთ შემუშავებული პროტოკოლი, სტრატეგია, ნორმატიული ბაზა, რომლის მეშვეობითაც ხდება მოსალოდნელი რისკის მართვა პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თინათინ ბოკუჩავა

[1] https://www.youtube.com/watch?v=dc05M-5BK90
[2] https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/44730-eqskluzivi-mosalodnelia-metskrul-gvartsopuli-protsesebis-chasakhva-nea-s-gamaprtkhilebeli